საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №971
2024 წლის 4 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 07.05.2014, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016531) დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^{1}“ ქვეპუნქტი:

„ე^{1}) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე სამართლებრივი კვლევა და ანალიზი, საერთაშორისო სტანდარტების, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ან/და სასამართლო პრაქტიკის, სააღსრულებო სამართლის ძირითადი ტენდენციებისა და სიახლეების კვლევა და ანალიზი;“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ანალიტიკური და სასამართლო წარმომადგენლობის სამსახური უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“, „ე^{1}“, „თ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით (მისი საქმიანობის ფარგლებში) განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**